ქალური ნარატივი ვირჯინია ვულფის შემოქმედებაში (“მისის დელოუეისა” და “ორლანდოს” მიხედვით)

Feminine Narrative in Virginia Woolf's Works (Based on “Mrs. Dalloway” and “Orlando: A Biography”)

მარიამი კაკალაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Mariami Kakalashvili
Tbilisi State University

Abstract:

Virginia Woolf, one of the most influential modernist writers, creates and presents a unique discourse on gender in her works. She focuses on the configurations of femininity and masculinity, gender, female experience and narrative. Her works have had immense influence on Gender, Women's and Feminist studies.

The presented paper will focus on one of the characteristics of Woolf's works: the female narrative, which is not only based on feminist views but also theories of gender fluidity and gender neutrality. With this perspective, Virginia Woolf constructs modern ideas on gender. These themes are most prominently discussed in two of her novels - “Mrs. Dalloway” (1925) and “Orlando: A Biography” (1928). The paper aims to define how feminine narrative is constructed in the above-mentioned novels and how modernism views gender, sexuality and feminism according to Virginia Woolf.

At first glance, these novels seem very different, both structurally and thematically. “Mrs. Dalloway” tells the details of one day in middle-aged Clarissa Dalloway's life as she is planning a party. Here Woolf uses a stream of consciousness, depicting the thought process of her characters. Clarissa Dalloway is seen as the epitome of womanhood and femininity.

In Orlando, we don't see much of Woolf's distinctive stream of consciousness. It is written as a form of biography, following a linear plotline, protagonist, complex and action-driven plot. The plot, contrary to “Mrs. Dalloway”, spans centuries as the character travels through eras and genders. Orlando is a discussion on gender fluidity and neutrality, here Woolf stresses how gender is not only defined by sex, but by mindset.

Despite these differences, Virginia Woolf creates complex feminine narratives in each of them, making these novels important works of gender and feminist studies. The research

paper offers analysis of selected passages from "Mrs. Dalloway and "Orlando: A Biography" that discuss Woolf's theories on femininity, gender neutrality/fluidity and sexuality, many of which have been adapted in contemporary society; the paper intends to extend the understanding of the basis of Woolf's theories on the above-mentioned themes.

საკვანძო სიტყვები: ვირჯინია ვულფი, ქალური ნარატივი, ფემინიზმი, ორლანდო, მისის დელოუეი.

Keywords: Virginia Woolf, Feminine Narrative, Gender, Feminism, Orlando, Mrs. Dalloway.

შესავალი

მოდერნისტი მწერალი, ვირჯინია ვულფი თავის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანეს ყურადღებას უთმობს ქალური ნარატივის შექმნას, რომლის საშუალებითაც ახერხებს ქალი პერსონაჟების ფიქრებისა და გამოცდილებების აღწერას. ვირჯინია ვულფის რომანებში ქალური ნარატივის ყველაზე გამორჩეული მაგალითებია: "მისის დელოუეი" (1925) და "ორლანდო" (1928). ვირჯინია ვულფმა, "ორლანდოს" შექმნით, უდიდესი გავლენა მოახდინა გენდერის შესწავლის საკითხებზე. სწორედ ამ პერიოდში ხდება გენდერის კვლევის სხვადასხვა თეორიების ჩამოყალიბება, ვირჯინია ვულფი კი ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ხმაა ამ კუთხით.

განსახილველი ორი რომანი - "მისის დელოუეი" და "ორლანდო" სრულიად განსხვავდება, როგორც სტრუქტურული მახასიათებლებით, ისე შინაარსობრივი და სიუჟეტური ხაზით. "მისის დელოუეიში" ვირჯინია ვულფი თავისი წერის სტილისა და მოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ტექნიკას - ცნობიერების ნაკადს - იყენებს. ამ სახის ნაწარმოებებში სიუჟეტი ნაკლებად ჩახლართულია, მეტად პერსონაჟების ფიქრებზეა კონცენტრირებული ვიდრე მოქმედებებზე. ნარატივი მიჰყვება და ცდილობს დაემსგავსოს ადამიანის ფიქრის პროცესს, რომელიც თავისი ბუნებით ქაოსური, არალინეარული და არაპროგნოზირებადია.

მეორე მხრივ, "ორლანდო" რადიკალურად გამოირჩევა ვირჯინია ვულფის სხვა ნაწარმოებებისაგან. მისი ეს რომანი არის ბიოგრაფიულ სტილში შექმნილი და ჰყვება არაბინარული მთავარი პერსონაჟის - ორლანდოს ცხოვრების შესახებ, რომელიც "მოგზაურობს" საუკუნეებსა და გენდერს შორის. იმის მიუხედავად, რომ "ორლანდოში" გვაქვს გამოკვეთილი სიუჟეტი, ლინეარული თხრობა, მოქმედებებითა და დინამიკურობით დატვირთული შინაარსი, ვირჯინია ვულფი ახერხებს მასშიც ჩააქსოვოს ქრონოლოგიური დარღვევები, რომლებიც არ არის ფიქრისა და მოგონებების დონეზე წარმოდგენილი, არამედ საუკუნეებში

გადაადგილებისა და დროის მარწუხების უგულებელყოფის საშუალებითაა გადმოცემული. "ორლანდოში", მიუხედავად მისი ბიოგრაფიული ხასიათისა, მაინც გვხვდება ცნობიერების ნაკადის ტექნიკა.

ქალური ნარატივის უკეთესად წარმოსაჩენად აუცილებელია რომანების განცალკევებით განხილვა, რადგანაც ვირჯინია ვულფი სრულიად განსხვავებულ ნარატივს აყალიბებს თითოეული პერსონაჟისა და მათი გამოცდილებების საშუალებით. "მისის დელოუეი" მეტად კონცენტრირდება ქალურობის, როგორც "თავშესაფრის" იდეით და იმით თუ როგორ განსხვავდება ფემინური და მასკულინური პერსპექტივები ერთმანეთისაგან. რომანში "ორლანდო" კონცენტრაცია არის გენდერის არაბინარულობაზე და იმაზე, რომ ადამიანი წარმოადგენს ქალური და მამაკაცური საწყისების ნაზავს, ორლანდოს პერსონაჟით ვულფი ადამიანის ანდროგენულობაზე უსვამს ხაზს. (Hastings, 2008)

იმის მიუხედავად, რომ ორივე რომანში ავტორი იყენებს სხვადასხვა სტრუქტურულ მახასიათებლებს, ნარატივის სახესა და რადიკალურად განსხვავებულ პერსონაჟებს, ის მაინც ახერხებს შექმნას დასამახსოვრებელი და გამოკვეთილი ქალური ნარატივი, პერსონაჟების - კლარისა დელუეისა და ორლანდოს საშუალებით.

ქალური ნარატივი: "მისის დელოუეი" (1925)

"მისის დელოუეი" 1925 წელს გამოქვეყნდა და მოიცავს კლარისა დელოუეის ცხოვრების ერთ დღეს, როდესაც ის მორიგ წვეულებას გეგმავს. ქალური ნარატივის წარმოსაჩენად ვირჯინია ვულფი ირჩევს შუახნის პროტაგონისტს, რომელიც მაღალი კლასის წარმომადგენელია და ისეთ მოსაწყენ, ყოველდღიურ საქმეებში პოულობს სიამოვნებას, როგორებიცაა კაბის არჩევა, დეკორაციების შეძენა, ყვავილების ყიდვა, ოჯახების სათითაოდ დაპატიჟება წვეულებაზე და ა.შ. ეს ყოველივე ტიპური ქალური ქმედებებია, რომლებიც ხშირად გაკრიტიკებული, უარყოფილი და დაკნინებულია, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში ასახულ ქალთა ყოფაში. ვირჯინია ვულფი ცდილობს აღწეროს კლარისას არსებობა ქალად, რომელიც არ არის შეფერილი ისეთი უსაფუძვლო წინააღმდეგობებით, რომლებიც ყოველგვარ ქალურ ქმედებას ხაზს უსვამს და ფემინიზმის სახელით ქალურობის მასკულინობით ჩანაცვლებას ცდილობს.

აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ვირჯინია ვულფის რომანები არ შეიცავს ფემინიზმის განხილვას, მის თეორიულ საფუძვლებსა და იდეოლოგიებს, რაც მეტ ავთენტურობას მატებს ქალების ცხოვრებისა და მათი არსებობის წარმოჩენას. ვირჯინია ვულფი დაინტერესებულია გენდერით, რომელიც,

ქალურობითა თუ მასკულინობით, თავს ორივე სქესის წარმომადგენელში იჩენს. კლარისა დელოუეი, ქალი, ჩნდება, როგორც ქალურობის თვალსაჩინო მაგალითი და ეს კონკრეტულ რომანში არა უარყოფით, არამედ დადებით "თვისებადაა" განხილული.

ერთ - ერთი სტერეოტიპულად ქალური თვისება არის სენტიმენტალურობა, რომელიც კლარისა დელოუეისაც ახასიათებს. *"კლარისა გულწრფელი იყო. ნამდვილად. პიტერი მას სენტიმენტალურ ქალად ჩათვლიდა. მართლაც ასე იყო. მიაჩნდა, რომ ადამიანებს მხოლოდ თავიანთ გრძნობებზე უნდა ესაუბრათ. გონიერებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, ადამიანებს გულწრფელად ეთქვათ ის, რასაც გრძნობდნენ."* (ვულფი, 2012:208)
ასეთი მიდგომა, ისეთ გაკრიტიკებულ ქალურ მახასიათებელზე, როგორიცაა სენტიმენტალურობა შვებისმომგვრელია. იმის მიუხედავად, რომ პიტერ უოლში უმეტესწილად მასკულინობის მაგალითად გვხვდება, ავტორი მას მაინც ანიჭებს რიგ ქალურ მახასიათებლებს და სწორედ ასეთია სენტიმენტალურობა, მის შემთხვევაში მგრძნობელობა.

"მიუხედავად ყველაფრისა, მარტოობის უპირატესობა ისაა, - გაიფიქრა პიტერ უოლშმა, - რომ შეგვიძლია, ვიტიროთ, თუკი დარწმუნებული ვართ, რომ ვერავინ დაგვინახავს." (ვულფი, 2012:162) მგრძნობიარე ხასიათი მამაკაცებისათვის მასკულინობის საპირისპიროს წარმოადგენს, და აქ კარგად ჩანს, რომ საკუთარი ემოციების გამოხატვა პიტერთან თავისუფლების ტოლფასია, თუმცა მას სოციალური სტერეოტიპებისა და საკუთარი შებოჭილობის გამო არ შეუძლია მისი გამოხატვა. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ აძლევს ვირჯინია ვულფი ქალურ მახასიათებლებს მამაკაც პერსონაჟებს, რაც მნიშნველოვნად განვრცობილი იქნება მის მომდევნო რომანში "ორლანდო".

წვეულება და მისი დაგეგმვა შესაძლებელია სიმბოლურად განხილული იქნეს, როგორც კლარისას კომფორტის ზონა, თავშესაფარი. ეს მეორე მხრივ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მისის დელოუეისათვის სწორედ ქალურობაა თავშესაფარი თავისი დეპრესიული ეპიზოდისაგან, რომელიც მთელი რომანის განმავლობაში მიმდინარეობს. ენ როკეტი (2004) წიგნში "The Artist-Figure, Society, and Sexuality in Virginia Woolf's Novels" აღნიშნავს, რომ მსგავსი "თავშესაფარი" ხშირად ხდება ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება ვირჯინია ვულფის ქალი პერსონაჟებისათვის. კლარისას თვითგამოხატვა ხელოვნების ისეთ ტრადიციულ დარგებს არ უკავშირდება, როგორიცაა მხატვრობა ან მწერლობა. ენ როკეტის მიხედვით კლარისა თავისი ქალურობის გამოხატვას ახერხებს ე. წ. მასპინძლობის ხელოვნებით (Artistry as a hostess). (Rochetti, 2004) კლარისასთვის თავისი ქალურობის გამოხატვა არის ის საშუალება, რითაც თავიდან ირიდებს წარსულის

მოგონებებს, სუიციდურ მიდრეკილებებს და, რაც ყველაზე მთავარია, შეიგრძნობს თავის არსებობას.

ვირჯინია ვულფი გენდერულ მახასიათებლებს ბუნებრივი სქესის მიხედვით არ ანაწილებს, ამის მიუხედავად, "მისის დელოუეიში" კარგად ჩანს კაცებისა და ქალების პერსპექტივებს შორის რადიკალური სხვაობა:

"პიტერი ვერასოდეს ამჩნევდა ხასხასა ბალახს, ვარდისფერ კაბაში გამოწყობილ გოგონას. როდესაც კლარისა ეტყოდა, ნახე, რა სილამაზეაო, პიტერი სათვალეს გაიკეთებდა და თვალებს აქეთ - იქით დააცეცებდა. მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკური ვითარება, ვაგნერის მუსიკა, პოუპის პოეზია, ხალხის ზნე - ხასიათი და კლარისას უარყოფითი თვისებები აინტერესებდა." (ვულფი, 2012: 9 - 10)

კლარისას ეს ფიქრები ნათლად გამოხატავს, რომ პიტერი, რომელიც შესაძლებელია მასკულინობისა და მამაკაცურობის სიმბოლოდ ჩაითვალოს რომანში, მეტად დაინტერესებულია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებით. კლარისა აღიქვამს სამყაროს, როგორც ერთგვარ საჩუქარს, და იღებს მას ისეთს როგორიც არის, აფასებს მის არსებობას. რომანის განმავლობაში მამაკაცები პიტერის მსგავს პერსპექტივას ავლენენ, როგორც სამყაროზე, ისე მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებზე. მამაკაცი პერსონაჟები ხედავენ სამყაროს მხოლოდ იმ ჭრილში, რომელიც მათ პირდაპირ შეეხებათ. იმის მიუხედავად, რომ მამაკაცები, ამ შემთხვევაში პიტერი, ფიქრობენ ისეთ ინტელექტუალურ თემებზე, როგორებიცაა ვაგნერი, პოეზია, სამყაროში მიმდინარე მოვლენები და ა.შ. ეს ყოველივე კლარისას ეგზისტენციალურ პერსპექტივასთან შედარებით ზედაპირული და უმნიშვნელოა. კლარისასთვის ყველაზე ღირებული არის ეგზისტენცია - არსებობა თავისი თვალით დანახულ სამყაროში. (Littleton, 1995)

თუკი მისის დელოუეის პერსონაჟს მხოლოდ ეგზისტენციალური ჭრილით არ გავაანალიზებთ და ყურადღებას დავუთმობთ სოციალურ, მატერიალურ, კულტურულ და ისტორიულ ფონს, დავინახავთ თუ როგორი პრივილეგირებულია კლარისა დელოუეი. ცალსახაა, რომ კლარისა იტანჯება და ებრძვის თავის ტვინში არსებულ ქაოსს, წარსულის მოგონებებს; კითხვისას მისი ცხოვრება, არსებობა, კლარისა, როგორც ცოლი და კლარისა, როგორც დედა სრულიად განადგურებულ ქალს ხატავს. ამის მიუხედავად, აუცილებელია იმის გახსენება, რომ კლარისა არის მაღალი კლასის წარმომადგენელი, პარლამენტის წევრზეა დაქორწინებული, ტრიალებს მაღალ საზოგადოებაში, აქვს პატივსაცემი სტატუსი, და აქვს *"საკუთარი ოთახი"*, რომ იარსებოს და იფიქროს ყოველ ეგზისტენციალურ პრობლემაზე, რასაც არსებობისას აწყდება.

შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პრივილეგიები აძლევს საშუალებას კლარისას, რომ ერთი - იცხოვროს მხოლოდ თავის

არსებობაზე და მაღალ მატერიებზე ფიქრით, მეორე მხრივ კი შეძლოს თავისი ქალურობის გამოხატვა და მასში სიამოვნების პოვნა.

კლარისა დელოუეის ქალური ნარატივის ერთ - ერთი ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელია ქორწინებაში იდენტობის დაკარგვა. იმის მიუხედავად, რომ კლარისას და მის ქმარს არ აქვთ ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობა, ორივე ერთმანეთს აძლევს პირად სივრცეს და რომანის განმავლობაში არანაირი დომინანტური და დაქვემდებარებული როლები არ იკვეთება, კლარისა მაინც გრძნობს თავს დატყვევებულად. შესაძლებელია ითქვას, რომ ეს არის უნივერსალური შეგრძნება, რომელიც მასიურად ეუფლებათ ქალებს ქორწინებაში.

"ის იყო მისის დელოუეი, კლარისა აღარ ერქვა. მისის რიჩარდ დელოუეი ხდებოდა." (ვულფი, 2012: 13)

ქალური ნარატივი: "ორლანდო" (1928)

1928 წელს გამოქვეყნებული "ორლანდო" განსაკუთრებით გამოირჩევა ვირჯინია ვულფის სხვა რომანებისაგან. "ორლანდოში" ერთმანეთს ერწყმის ცნობიერების ნაკადისა და ბიოგრაფიული ტექსტის აგების სტრუქტურები, რომელთა საშუალებითაც ვულფი გამოხატავს თავის მოსაზრებებს გენდერის ბინარულობის შესახებ. რომანის მთავარი პერსონაჟია ორლანდო, რომლის ბიოგრაფიასაც მოგვითხრობს ავტორი. თავდაპირველად ორლანდოს ვეცნობით როგორც მაღალი კლასის წარმომადგენელ კაცს ელიზაბეთ I - ის მეფობის ხანაში, ხოლო შემდგომ ავტორი აღწერს მის მოგზაურობას არა მხოლოდ საუკუნეებს შორის, არამედ მოგზაურობას გენდერს შორის - კაცი ორლანდოდან ქალ ორლანდომდე.

რომანით "ორლანდო" ვირჯინია ვულფი განიხილავს გენდერს, რომელიც, მისი მოსაზრებით, არ არის სქესით განსაზღვრული, არამედ იმით თუ რად აღიქვამს ადამიანი თავს. გენდერი, როგორც გონებრივი მდგომარეობა ისეა განხილული "ორლანდოში". საინტერესოა, რომ ორლანდოს ქალად ქცევა სრულიად თვალსაჩინოა რომანის სხვა პერსონაჟებისათვის, თუმცა ამავდროულად არაფერი იცვლება მის გარეგნობაში. სწორედ ამ მხრივ არის გამოხატული გენდერის აბსტრაქტულობა მატერიალურ რეალობაში.

ვირჯინია ვულფი უპირველესყოვლისა უარყოფს გენდერის ბინარულობას და ქალურ და მამაკაცურ მახასიათებლებს არ აკუთვნებს რომელიმე კონკრეტულ გენდერს. მის შემოქმედებაში ნათლად ჩანს ქალი და მამაკაცი პერსონაჟები, რომლებიც შედგენილია როგორც ქალური ისე მასკულინური მახასიათებლებისაგან, სწორედ ეს აქცევს მათ სრულყოფილ ადამიანებად. შესაძლებელია ითქვას, რომ სრულყოფილი ადამიანი ვირჯინია ვულფის თვალში

არის ის, რომელსაც აქვს როგორც ქალური, ისე მასკულინური მახასიათებლები - ის არ არის არც მთლიანად ქალი და არც მთლიანად კაცი.

გენდერული ბინარულობის "წესების" მორჩილება ადამიანს აქცევს სოციუმისა და სტერეოტიპების მსხვერპლად, რომელიც საკუთარ საწყისებს უარყოფს. ამის კარგი მაგალითია პიტერ უოლში "მისის დელოუეიში". ეს კონკრეტული იდეა განვრცობილია ვირჯინია ვულფის ესეიში "საკუთარი ოთახი". ავტორი შემდეგ კითხვას სვამს - "*შესაძლოა თუ არა, რომ გონებაში ორი სქესი შეესაბამებოდეს სხეულის ორ სქესს? და თუ ასეა, სრულყოფილებისათვის მათაც სჭირდებათ თუ არა ერთიანობა?"* (ვულფი, 2004:75) სწორედ ამ კითხვების პასუხად ვირჯინია ვულფი ქმნის ადამიანის სულის მონახაზს, სადაც აუცილებლად არის ორი მხარე - ქალური და მამაკაცური. აქედან ერთ - ერთი არის დომინანტურ პოზიციაში, ეს კი არ გამორიცხავს მეორე გენდერული მხარის არსებობას ადამიანის გონებაში.

"მხოლოდ ამ ნაზავის წყალობით შეიძლება გონება სრულად განაყოფიერდეს და ყველა საკუთარი უნარი გამოიყენოს." (ვულფი,2004:76) ვულფი არ ახასიათებს ქალურ ან მამაკაცურ საწყისებს და მათ დაპირისპირებულ მხარეებად არ აქცევს. ამ ორი საწყისიდან რომელიმეს უარყოფით ადამიანის გონება კარგავს ჰარმონიასა და ბალანსს. ორლანდო სწორედ ამ ჰარმონიული არსებობის ძიების მაგალითია, რომელიც საკუთარ ტრავმასთან გასამკლავებლად ახალ - ახალ საწყისებსა და მისწრაფებებს ეძებს. (Kelsey, 1931)

თუკი ორლანდოს პერსონაჟის ქალურ და მამაკაცურ საწყისებზე ვისაუბრებთ, ნათლად ჩანს, რომ მასში ქალური მახასიათებლები ჭარბობს. როდესაც ორლანდო მეთექვსმეტე საუკუნის მამაკაცია, ავტორი მას აღწერს, როგორც ახალგაზრდა პოეტს, მოზღვავებული, გადამეტებული მგრძნობელობით, ის აღმერთებს ბუნებას, სამყაროს და ყველაფერს მის გარშემო. როგორც "მისის დელოუეიში" ისე "ორლანდოშიც", სენტიმენტალური და მგრძნობიარე ხასიათი არის უპირველესი ქალური მახასიათებელი. ეს ასევე კარგად ჩანს ორლანდოს დამოკიდებულებიდან საშას მიმართ, რომელიც სავსეა ვნებით, წმინდა და ფაქიზი სიყვარულით. ამ სიყვარულს საშა ანგრევს მამაკაცური ქმედებით - ღალატით, რაც ორლანდოსთვის სრულიად არაბუნებრივია.

ორლანდო საშასთან განშორების შემდგომ უფრო და უფრო მეტად იძენს მამაკაცურ მახასიათებლებს - უყვარს თავგადასავლები, ცდილობს საკუთარ სასახლეში მოაწყოს ლხინი და ღრეობა, ჩნდება მისი აგრესიული და ეგოცენტრული ხასიათი. ეს ყოველივე აბალანსებს გენდერულ "გაურკვევლობასა" და ნეიტრალურობას, რომელსაც ვირჯინია ვულფი ამ რომანში ქმნის.

ორლანდოს ქალად ტრანსფორმაციის რიტუალური ეპიზოდი, ერთ - ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწილია რომანში. ამ ეპიზოდში ჩნდებიან სიწმინდის,

უბიწობისა და კრძალულების ქალღმერთები. შესაძლებელია ითქვას, რომ ამ სამი კომპონენტის შერწყმითა და ერთგვარი ბრძოლით იბადება ორლანდო ქალი, იქმნება ქალურობის სრული ხატი, რომელიც იმ პერიოდის ქალის ინტერპრეტაციის ჩარჩოებში არ ჯდება. აქ ქალურობა აღწერილია, როგორც ხელშეუხებელი და მიუწვდომელი, აღმატებული მდგომარეობა, რაც მხოლოდ გენდერული ბინარულობის უარყოფით შეიძლება შეიქმნას.

კრძალულების ქალღმერთი - *"მე ის ვარ, ვისაც ადამიანი კრძალულებას უწოდებს, დღეს ქალწული ვარ და მუდამ ქალწულად დავრჩები."* (ვულფი, 2018:118)

სიწმინდის ქალღმერთი - *"მე ვარ მფარველი ყოველი მძინარე ფაუნის; მე მიყვარს თოვლი; და მთვარე, ახლად ამომავალი; და ზღვა ვერცხლისფერი; სამოსით ჩემით ვიფარავ წინწკლებიანი ქათმის კვერცხებს და ზღვის ჭრელ ნიჟარებს; ვიფარავ მანკიერებას და სიღატაკეს."* (ვულფი, 2018:118)

უბიწობის ქალღმერთი - *"მე ის ვარ, ვისი შეხებაც ყინავს, ხოლო მზერა ქვად გადაგაქცევს. ადგილზე ვაქვავებ მროკავ ვარსკვლავებს და ცად აწვდილ ტალღებს."*(ვულფი, 2018:118)

ქალღმერთები უწყვეტად იმეორებენ *"დაგვინდე! ო, დაგვინდე"* და ამ სიზმრისეულ რიტუალში კვდება ორლანდო კაცი და იბადება ორლანდო ქალი.

მეთვრამეტე - მეცხრამეტე საუკუნეში გადასული ორლანდო, ქალი, თითქმის სრულიად ეწინააღმდეგება იმ პერიოდის სტერეოტიპებს - ის არ არის დაქორწინებული, არ ჰყავს შვილი, სრულიად გატაცებულია საკუთარი ქალურობით, იმაზე მეტადაც კი ვიდრე კლარისა დელოუეი. ორლანდო აღმერთებს თავის სინაზეს, ყურადღებას, რომელსაც იღებს ექსტრემალური ქალურობის გამოხატვის საშუალებით - კაცები მას აღმერთებენ და უყვართ. ეს ყოველივე მასში არ თრგუნავს ქალურობას და ორლანდო არ გრძნობს თავს შევიწროებულად, არამედ ის მხოლოდ ამ მდგომარეობაში გრძნობს თავს დაფასებულად. უპირველესი განსხვავება კლარისასა და ორლანდოს შორის არის ქალურობის აღქმა, სადაც კლარისა მიუყვება ცხოვრების წმინდა და სპეტაკ გზას, ორლანდო კი ცდილობს ქალურობის სარგებელი სრულიად გამოიყენოს და ქმნის "ქალურ იარაღს" (feminine weapon). სწორედ ამ გზით ახერხებს ის პატრიარქალური გარემოს მანიპულირებას.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ ვირჯინია ვულფის შემოქმედებაში "ორლანდო" და "მისის დელოუეი" ქალური ნარატივის

გამოკვეთილი მაგალითებია. გენდერული ბინარულობის უგულვებელყოფის მიუხედავად, ვირჯინია ვულფი ახერხებს ქალური და მამაკაცური ნარატივის მკაფიოდ განცალკევებას, რაც ძალიან კარგად ჩანს მის რომანში - "მისის დელოუეი". რომანებში შექმნილი ქალური ნარატივი და პროტაგონისტები სრულიად განსხვავებიან ერთმანეთისაგან. კლარისა დელოუეი არის გარომანტიზირებული ქალის იდეალი, რომელიც სრულიად გააზრებულად არის შეგუებული თავის ქალურობას. კლარისას პიროვნებაში ნაკლებად გვხვდება მამაკაცური საწყისები. მეორე მხრივ, ორლანდო, სწორედ ის დაბალანსებული ნაზავია ქალური და მამაკაცური საწყისებისა, რაზეც ვირჯინია ვულფი "საკუთარ ოთახში" საუბრობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვულფი, ვ. (2012). *მისის დელოუეი.* თარგმანი: ძნელაძე, გ. გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი.
2. ვულფი, ვ. (2018). *ორლანდო.* თარგმანი: დუმბაძე, ლ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.
3. Woolf, V. (2004). *A room of one's own*. Penguin Books.
4. Kelsey, M. E. (1931). *Virginia Woolf and the She-Condition*. The Johns Hopkins University Press.
5. Hastings, S. (2008). *Sex, Gender, and Androgyny in Virginia Woolf's Mock-Biographies "Friendships Gallery" and "Orlando"*. ETD Archive. 520.
6. Ronchetti, A. (2004). *The Artist, Society and Sexuality in Virginia Woolf's Novels.*
7. Littleton, J. (1995). *Mrs. Dalloway: Portrait of the Artist as a Middle-Aged Woman.* Duke University Press.

ავტორის შესახებ:

მარიამ კაკალაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. დაინტერესებულია მოდერნისტული ლიტერატურისა და გენდერის შესწავლის საკითხების კვლევით. ერაზმუსის გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრი გაატარა სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში, ესპანეთში.

About the author:

Mariam Kakalashvili, student at Tbilisi State University BA program in English Philology. Interested in Modernist literature and Gender studies. Participated in the Erasmus BA

exchange program and spent one semester at the University of Santiago de Compostela, Spain.
Email: mariami.kakalashvili517@hum.tsu.ge

სამადლობელი
მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს - ლიზი ძაგნიძეს, რომელმაც გამაცნო ინლისური მოდერნისტული ლიტერატურა და დამეხმარა გამეღრმავებინა ცოდნა და ინტერესი ვირჯინია ვულფის შემოქმედების შესახებ.

Acknowledgment
I want to thank my supervisor Lizi Dzagnidze, who introduced me to the English modernist Literature and encouraged me to pursue my interest in Virginia Woolf's works.